community

The New Apostolic Church around the world

04/2019/GE

ორმოცდაათობა, 2019 წ.

რედაქციისგან: მთელი ძალით

ღვთისმსახურება: სულიწმიდის ზემოქმედება

მოძღვრება: ქრისტეს მეორედ მოსვლა

New Apostolic Church
International

მთელი ძალით

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

სულიწმიდა ძლიერად მოქმედებს - ასე იყო იმჟამად, ასეა დღესაც და ასე იქნება ხვალაც. სულიწმიდა შეგვაგონებს, გვაძლიერებს, გვანუგეშებს და შთაგვაგონებს. ის მუდმივად თან გვახლავს ნებისმიერ ცხოვრებისეულ გარემოებაში.

სულიწმიდას მის საქმეებში აღვიქვამთ:

ქრისტეს ეკლესიაში იგი ოდითგანვე აძლიერებდა იესოსადმი რწმენას - დევნის, გაჭირვებისა და ტანჯვის დროსაც. ის მაშინაც და დღესაც გვიბიძგებს სახარების გავრცელებისკენ ამ შეგნებით: იესო ქრისტე ღვთის ძეა.

მოციქულთა მეშვეობით სულიწმიდა მორწმუნეებს იესოს მეორედ მოსვლისათვის ამზადებს. მოციქულობის მეშვეობით მორწმუნენი სულიწმიდის მადლს იღებენ და ერთად ეზიარებიან.

სულიწმიდა თემებში მოქმედებს - პატარა თუ დიდ თემებში, ცხოვრებისეული გარემოებებისა და კულტურების მიუხედავად; ის იქ არის.

მორწმუნეებში სულიწმიდა იმის ძალას აღვიძებს, რომ უერთგულონ იესო ქრისტეს და მიენდონ მას. სულიწმიდა ანიჭებს მათ ტვირთის ტარებისა და მოყვასისათვის მსახურების ძალას თემში.

სულიწმიდას ვერაფერი შეაჩერებს. ვერაფერი შეაჩერებს ღვთის სასუფევლის განვითარებას. სულიწმიდა მთელი ძალით მოქმედებს. მოდით, სრულად გამოვავლინოთ ეს ძალა თემებში და თავად ჩვენში.

ისევ და ისევ შევწიროთ მადლი სულიწმიდა-ღმერთს მისი საქმეებისათვის ქრისტეს ეკლესიაში, მოციქულობაში, თემებში და თვითეულ ჩვენთაგანში.

გულითდი მოკითხვებით,

თქვენი ჟან-ლუკ შნაიდერი

სულიწმიდის ზემოქმედება

ღვთისმსახურებას გოსლარიდან (გერმანია), რომელიც ყველა კონტინენტის თითქმის 100 ქვეყანაში გადაიცემოდა, გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს ერთმორწმუნე და-ძმანი.

ფოტო: ოლივერ როუტენი

1. კორ. 12, 13

„ვინაიდან ყველანი ერთი სულით მოვინათლეთ ერთ სხეულად - იუდეველები თუ ელინები, მონები თუ თავისუფლები, და ყველას ერთი სული გვისვამს.“

დიახ, საყვარელო დებო, საყვარელო ძმებო, ორმოცდაათობაზე სულიწმიდის გარდამოსვლას ვიხსენებთ, ქრისტეს ეკლესიის დაარსებას, და, რა თქმა უნდა, დღევანდელი საზეიმო განწყობის მიზეზიც ეს არის. კარგი შესაძლებლობა მოგვეცა იმისათვის, რომ ვაქოთ და ვადიდოთ სულიწმიდა-ღმერთი. ვიცი, ეს ზოგჯერ ცოტა აბსტრაქტული ჩანს. ჩვენი წარმოდგენა მამა-ღმერთზე უფრო მარტივია. შემოქმედის წარმოდგენა უფრო ადვილად შეგვიძლია. ჩვენ ხომ ვხედავთ მის შემოქმედებას. მამა-ღმერთს მზრუნველი მამის ხატებას ვუკავშირებთ. ძე-ღმერთის შემთხვევაში მაშინვე იესო ქრისტე გვახსენდება. აქ უამრავი რამის წარმოდგენა შეგვიძლია. მაგრამ სულიწმიდა, ღვთის ძალა, ცოტა აბსტრაქტულია. სულიწმიდის

ხატების შექმნა შეუძლებელია, სულიწმიდის მხოლოდ განცდა და შეცნობაა შესაძლებელი იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოქმედებს ის ადამიანებზე და რას აკეთებს მათი მეშვეობით. სულიწმიდის მის საქმეებში შევიცნობთ. და იგი უცბად ხდება კონკრეტული.

ქრისტეს ეკლესიის დაარსებიდან დღემდე სულიწმიდა ძლიერად მოქმედებს ეკლესიაში. მას არასოდეს შეუწყვეტია ქრისტეს ეკლესიაში საქმიანობა. მას შემდეგ, რაც სულიწმიდა დედამიწაზე შრომობს, უამრავ ადამიანს შთააგონა, რომ იესო ქრისტე ღვთის ძეა. პავლე მოციქული ამბობს, რომ სულის ზემოქმედების გარეშე ვერც ერთი ადამიანი ვერ შეიმეცნებდა, რომ იესო ქრისტე ღვთის ძეა. თუ რომელიმე ადამიანი აცნობიერებს, რომ იესო ქრისტე ღვთის ძეა, ეს სწორედ სულიწმიდის ზემოქმედების შედეგია. მთელი ამ ხნის განმავლობაში სულიწმიდა იმაზე ზრუნავდა, რომ მორწმუნე ადამიანები, რომლებიც იესო ქრისტეს რწმენამდე მივიდნენ, ნათლობის შედეგად ქრისტეს ეკლესიის წევრები გამხდარიყვნენ. სულიწმიდამ იზრუნა იმაზე, რომ სახარება მსოფლიოს ყველაზე შორეულ კუთხეებშიც გავრცელებულიყო. მან იზრუნა იმაზე, რომ მორწმუნეები სახარების ქადაგების მეშვეობით თავიანთ რწმენაში განმტკიცებულიყვნენ. როცა ვფიქრობთ, თუ რამდენი რამ გადაიტანეს ქრისტიანებმა მთელი ამ საუკუნეების მანძილზე: ზოგს დევნიდნენ, ზოგი საშინელ ტანჯვასა და უბედურებას განიცდიდა, სულიწმიდა კი ამ დროს ყოველთვის ზრუნავდა იმაზე, რომ გაეძლიერებინა ისინი, რამეთუ მტკიცედ მდგარიყვნენ იესო ქრისტეს რწმენაში. ქრისტიანობის მთელი ისტორიის მანძილზე ბევრმა ქრისტიანმა დიდი უბედურებები გადაიტანა. ამ დროს ყველა ამბობდა: „და სად არის ღმერთი?“ მაგრამ სახარების ქადაგება მათ ამ რწმენას უნმტკიცებდა: „არა, მე მწამს იესო ქრისტესი და გავყვები მას.“ აქ ჩვენ სულიწმიდის ძლიერ ზემოქმედებას ვხედავთ. სულიწმიდა ქრისტეს ეკლესიაში მოქმედებდა. რა თქმა უნდა, ქრისტეს ხილულ ეკლესიაში ბევრი ისეთი რამეც ხდებოდა, რაც არ იყო კარგი, ვინაიდან ადამიანები ყოველთვის ადამიანები არიან და ასეთებად დარჩებიან. იესო ქრისტეს სახელს ზოგჯერ ბოროტად იყენებდნენ, ბოროტად იყენებდნენ მას ომების საწარმოებლად.

თემებში სულიწმიდის ცეცხლი გიზგიზებს

მარჯვნივ: ბიბლიური ციტატის წაკითხვას მოციქულთა საქმიდან (2, 36-43) ამონარიდის წაკითხვა მოჰყვა

ქვემოთ: გულითადი მისალმება გოსლარის (გერმანია) ეკლესიასთან

ქრისტიანები სდევნიდნენ და ხოცავდნენ არაქრისტიანებს. ისინი ურთიერთშორისაც იბრძოდნენ და ერთმანეთს კლავდნენ. კიდევ ბევრი რამ ჩაიდინეს და საშინელი შეცდომებიც დაუშვეს. და ეს მარტო იმიტომ, რომ ადამიანი ადამიანია. მაგრამ სულიწმიდამ იზრუნა იმაზე, რომ ყველა ამ ადამიანური არასრულყოფილების მიუხედავად სახარება კვლავაც ვრცელდებოდეს და ქრისტიანებს კვლავაც სწამდეთ იესო ქრისტესი და მისი ერთგულები იყვნენ. როცა ყოველივე ამაზე ვფიქრობთ, ვხედავთ, თუ რა ძლიერად, როგორი ძლევამოსილებით მოქმედებდა სულიწმიდა: მიუხედავად ყველა გაჭირვებისა, ყველა განსაცდელისა და დაშვებული შეცდომებისა ქრისტიანული რწმენა არ მოკვდა. ბევრი ქრისტიანია ამქვეყნად, ვისაც სწამს და მისდევს იესო ქრისტეს. ჩვენ მადლობლები ვართ სულიწმიდისა იმის გამო, რომ მთელი ამ საუკუნეების განმავლობაში ასე ძლიერად მოქმედებდა იგი და კვლავაც მოქმედებს.

მადლობლები ვართ სულიწმიდისა იმისთვისაც, რომ ის მოციქულთა მეშვეობით მოქმედებს. მას შემდეგ, რაც მოციქულის სასულიერო თანამდებობა კვლავ იქნა პერსონალურად დაკავებული, სულიწმიდა ძლიერად მოქმედებს მოციქულთა საშუალებით. მათი მეშვეობით ადამიანებს სულიწმიდის მადლი მოეფინებათ და ხდებიან ახალი ქმნილებანი იესო ქრისტეში. სულიწმიდის

მადლობას ვუხდით სულიწმიდას, რომ მთელი ამ საუკუნეების განმავლობაში ასე ძლიერად მოქმედებდა.

მოქმედება იმის შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ვიზეიმოთ წმიდა ზიარება და ამდენად, იესოს სისხლსა და ხორცს ვეზიაროთ. მოციქულთა მეშვეობით სული ძლიერად მოქმედებს და ამბობს: „უფალი მალე მოვა!“ მაგრამ მას შემდეგ, რაც მოციქულის სასულიერო თანამდებობა კვლავ იქნა პერსონალურად დაკავებული, ბევრი განსაცდელისა და წინააღმდეგობების დაძლევა გახდა აუცილებელი. როგორც უკვე ვთქვით, აქა თუ იქ მოციქულებსა და მათ თანამოაზრეებსაც სდევნიდნენ. თუმცა სულიწმიდა აგრძელებდა თავის საქმეებს. არავის შეეძლო მისი შეჩერება. მოციქულებიც ადამიანები არიან და თან არასრულყოფილნი. შეცდომები იქაც არის, სადაც მოციქულები მოღვაწეობენ. გარდა



ამისა, ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ქადაგება ადამიანური შეხედულებებით ან კულტურული წარმოდგენებით იქნას შეზავებული და ამ დროს ისეთი რამის ქადაგება ხდება, რომ ვამბობთ: „კარგი რა, ამას ხომ არაფერი საერთო არა აქვს სახარებასთან“. მოციქულებიც ადამიანები არიან, თანაც აბსოლუტურად არასრულყოფილნი. მაგრამ ამ ადამიანურ ნაკლს არასოდეს შეუფერხებია სულიწმიდა. ის ძლიერად მოქმედებს მოციქულთა მეშვეობით. ხდება სულიწმიდის მადლის მოფენა, ტარდება წმიდა ზიარება და მიმდინარეობს სასძლოს მომზადება. ჩვენ მადლობლები ვართ სულიწმიდისა იმისათვის, რომ იგი კვლავაც ძლიერად მოქმედებს მოციქულთა მეშვეობით და, რომ არასრულყოფილ ადამიანებს სასძლოს რიგებში მოხვედრისათვის მომზადება შეუძლიათ.

სულიწმიდა ძლიერად მოქმედებს ქრისტეს ეკლესიაში. ის ძლიერად მოქმედებს მოციქულთა მეშვეობით. იგი ძლიერად მოქმედებს თემებში და ღვთის შვილებში. მსოფლიო მასშტაბით დაახ 60 000 თემი გვყავს ამჟამად. ამ თემებში სულიწმიდის

ზიარებას განსვენებულთა ნაცვლად იღებენ სამხ. მოციქული პეტერ შულტე (წყნარი ოკეანის დასავლეთი) და მოც. ჰელგე მუჩლერი (ჩრდ. და აღ. გერმანია)

სამხ. მოციქული რიუდუგერ კრაუზე (ჩრდ. და სამხრ. გერმანია) წმიდა ზიარების საზეიმოდ ფეშხუმებს სახურავებს ხდის

ცეცხლი გიზგიზებს. ჯერ ახალგაზრდებს მინდა მადლობა გადავუხადო. ხვდებით ალბათ, რომ ბოლო კვირის მოვლენებს ვგულისხმობ. ყველა, ვინც დიუსელდორფში ამ დიდ ახალგაზრდულ შეხვედრას ესწრებოდა, დამემოწმება, რომ იქ სულიწმიდისცეცხლიგიზგიზებდა!ახალგაზრდობა აღფრთოვანებულია იესო ქრისტეთი, მისდევს მას და ემსახურება. ეს მარტო დიუსელდორფში კი არ შევიგრძენი, არამედ ამას ყოველ ჯერზე ვგრძნობ, როცა ახალგაზრდებს ვხვდები მსოფლიოს რომელიმე წერტილში. ნამდვილად მადლობის ღირსია ის, რომ ღმერთმა ამდენი ახალგაზრდა მოგვცა, რომლებიც გულანთებულნი არიან იესო ქრისტესათვის და, რომლებიც სულიწმიდას მათი დამოძღვრისა და წამძღოლის საშუალებას აძლევენ. მაგრამ ეს მარტო ახალგაზრდებს არ ეხება. შემიძლია დავამტკიცო, რომ ასეა ყველა 60 000-ს თემში მსოფლიო მასშტაბით. უმცირეს თემებშიც კი, სადაც თითზე ჩამოსათვლელი კაცი იკრიბება, სულიწმიდა მთელი ძლევამოსილებით მოქმედებს. ისე არ არის, როგორც ამბობენ: „ეჰ, ჩვენ მხოლოდ სამნი ვართ, ჩვენ მხოლოდ ხუთნი ვართ - აქ სულიწმიდის ცეცხლი მხოლოდ ბჟუტავს.“ ამ უმცირეს თემებშიც კი სულიწმიდა მთელი ძალით მოქმედებს და მორწმუნეებს ღმერთის სუფევის განცდა შეუძლიათ! მათ სრული ხსნის მიღება შეუძლიათ! სულიწმიდა რაოდენობას არ უყურებს. მთელი უფლებამოსილებით მოქმედება მას ძალიან პატარა თემებშიც შეუძლია, სრულიად წარმოუდგენელ სიტუაციებშიც კი. მინდა გავიხსენო ბევრი თემი, სადაც და-ძმანი დევნილთა ბანაკებში იკრიბებიან. სხვები კი იძულებულნი არიან დაიმალონ და ტყეში შეხვდნენ ერთმანეთს. მათ არაფერი გააჩნიათ, მაგრამ სულიწმიდის ძალის მეოხებით სრულ ხსნას იღებენ. იმ ქვეყნებში, სადაც ბევრი წევრი გვყავს, თემები ციხეებშიც გვაქვს. იქ ახალსამოციქულო ქრისტიანები არიან მსჯავრდებულნი და იხდიან სასჯელს. იქ ღვთისმსახურებები ტარდება. საზოგადოებამ მათ უთხრა: თქვენი დანახვა არ გვინდა, გზიდან ჩამოგვეცალეთო. მაგრამ, სადაც ღვთისმსახურება ტარდება, იქ სულიწმიდა თავისი უფლებამოსილებით მოქმედებს. ამ განსაკუთრებულ გარემოში მყოფ და-ძმებსაც, მორწმუნეებსაც, შეუძლიათ განიცადონ ღვთის სუფევა, შეიგრძნონ ღვთიური სიყვარული და მიიღონ ყველაფერი, რაც ხსნისათვის სჭირდებათ.

ეს იყო რამოდენიმე კონკრეტული მაგალითი. მადლობას ვუხდით სულიწმიდა იმისათვის, რომ არასრულყოფილი ადამიანების მეშვეობით ასე ძლიერად მოქმედებს ნებისმიერ თემში.

სულიწმიდა ძლიერად მოქმედებს და მუშაობს ჩვენს და-ძმებში. ჩვენ ბევრი სამაგალითო და-ძმა გვყავს, რომლებიც წლებია მძიმე ტვირთს ატარებენ. მათ საშინლად უჭირთ, საშინლად იტანჯებიან. ზოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხებით: როგორ უძლებენ ამას? როგორ უმკლავდებიან? ისინი ღმერთს არიან მინდობილნი, ურყევი ნდობა აქვთ ღვთისა. აგრძელებენ იესო ქრისტეს სიყვარულს, მისდევენ მას და მისი ერთგულები არიან. მხოლოდ გაოცება და აღფრთოვანება შეიძლება გამოიწვიოს ამან. მინდა ვახსენო ის ბევრი ძმა და და, რომლებიც დაუღალავად ემსახურებიან უფალს, სასულიერო თანამდებობაზე თუ სხვა რომელიმე მსახურების მეშვეობით. 250 მიზეზი მაინც ექნებოდათ მათ იმის სათქმელად, რომ მეტს აღარ ითანამშრომლებენ. ისინი კი უბრალოდ აგრძელებნენ თავიანთ საქმეს, ვინაიდან სულიწმიდა მიუძღვის მათ. მადლობას ვუხდით სულიწმიდა-ღმერთს იმისათვის, რომ ისევ და ისევ აძლიერებს იგი ამ და-ძმებს, ანუგეშებს და წამოდგომაში ეხმარება. საყვარელო და-ძმანო, სულთმოფენობის ამ დღესასწაულზე განსაკუთრებულად მინდა მოგმართოთ და ყველა მოციქულის სახელით გითხრათ: ჩვენ, როგორც იესო ქრისტეს მოციქულები, პავლეს მსგავსად გეტყვით: მადლობას ვუხდით ღმერთს იმ სიხარულისათვის, რომელიც თქვენ მოგვანიჭეთ! თქვენ ხართ ჩვენი სიხარული! ეს მადლიერება ყველა მოციქულის სახელით მინდა გამოვხატო. კიდევ ერთხელ, პავლეს მსგავსად გეტყვით: მადლობას ვუხდით ღმერთს იმ სიხარულისათვის, რომელიც თქვენ მოგვანიჭეთ! თქვენ ხართ ჩვენი სიხარული! ამის თქმა მინდოდა.

სულიწმიდის ეს ძლევამოსილი მოქმედება ქრისტეს ეკლესიაში - მოციქულთა მეშვეობით, თემებში, და-ძმებში - ნუგეშისა და სიხარულის წყაროა ჩვენთვის. ამას ეფუძნება და ეყრდნობა ჩვენი იმედი. სულიწმიდა ბოლომდე ძლიერად იმოქმედებს. უფალმა ერთხელ ღვთის სასუფეველზე ილაპარაკა და თესლს შეადარა იგი, რომელსაც ადამიანი მიწაში აგდებს. მან თქვა, არა აქვს მნიშვნელობა, რას აკეთებს ახლა მთესველი, ფხიზლობს თუ სძინავს, მუშაობს თუ არა, თესლი მაინც აღმოცენდება და გაიხარებს ისე, რომ მას არ ეცოდინება, თუ როგორ მოხდა ეს. იესოს ამით იმის თქმა უნდოდა, რომ ღვთის სასუფევლის განვითარებას ადამიანები ვერ შეაჩერებენ, ის რაღაც საიდუმლო გზით სულ უფრო წინ მიდის თავისი სრულყოფისკენ. სულიწმიდა შემდგომშიც ძლიერად იმოქმედებს ჩვენზე. თუ მას ჩვენი წაძღოლისა და წარმართვის საშუალებას მივცემთ, ის სრულყოფს ახალ ქმნილებას ჩვენში და ჩვენ, არასრულყოფილი ადამიანები, იესო ქრისტეს ხატად გახდომას შევძლებთ. სულიწმიდა კვალავაც ძლიერად იმოქმედებს მოციქულობის მეშვეობით და მხარში ამოუდგება მოციქულებს, რათა მათ თავიანთი ამოცანის შესრულება ბოლომდე შეძლონ. როცა უფალი მოვა, მისი სასძლო მზად იქნება. იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგაც სულიწმიდა ისევ ძლიერად იმოქმედებს ქრისტეს ეკლესიაში. უფალი იზრუნებს, რომ ქრისტეს მორწმუნეებმა საზრდო სულიწმიდის მეშვეობით მიიღონ, ანტიქრისტეს მიერ მოვლენილი ჭირ-ვარამის დროსაც ანუ დიდი ვაების ჟამსაც. მაშინაც კი, თუ იესო ქრისტეს მტერი ყველაფერს სასწორზე შეაგდებს, სულიწმიდის საქმეებს მაინც ვერ შეაჩერებს. სულიწმიდა იზრუნებს იმაზე, რომ ქრისტიანებმა კვლავაც მიიღონ საზრდო და უერთგულონ უფალ იესო ქრისტეს. სულიწმიდა ბოლომდე მიიყვანს თავის საქმეს. ის სრულყოფს ქრისტეს ეკლესიას და მორწმუნეებს ახალ შემოქმედებაში შეიყვანს, სადაც ისინი ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაში იქნებიან. თუ ამ ყველაფერს ასე შევხედავთ, მაშინ, საყვარელო და-ძმანო, ძალიან ბევრი მიზეზი გვექნება იმისა, რომ მადლი შევწიროთ ღმერთს, სულიწმიდა-ღმერთს, ხოტბა შევასხათ მას, ვაქოთ და ვადიდოთ იგი. იმდენი მიზეზი გვაქვს მადლობისათვის, მან ხომ გაგავამდიდრა იესო ქრისტეში. ჩვენ, მოციქულებს, ბევრი მიზეზი გვაქვს მადლობის გადასახდელად, თუნდაც იმისათვის, რომ ასე გაგავამდიდრა იესო ქრისტეში. ჭეშმარიტად, დიდება ღმერთს, სულიწმიდას. ის ბოლომდე მიიყვანს თავის საქმეს. ამინ.

ძირითადი აზრები

სულიწმიდა-ღმერთის ძალას ეკლესიის ისტორიაში, მოციქულთა მსახურებასა და მორწმუნეთა მსახურებაში აღვიქვამთ.

მოდით, სულიწმიდით ვიცხოვროთ! მაშინ ქრისტეს მეორედ მოსვლისას სულიწმიდა გამოგვაღვიძებს.

| მოციქული შუგი საქართველოში

მოც. ვ. შუგი სტუმრად მღვდელ ბესო დევდარიანის ოჯახში

მოციქული შუგი საქართველოს 30 ივლისს ესტუმრა. ერთი კვირის განმავლობაში მან ორი ღვთისმსახურება და ერთი სემინარი ჩაატარა, რომელსაც სომეხი და აზერბაიჯანელი მღვდელმსახურებიც ესწრებოდნენ.

31 აგვისტოს თბილისის ავლაბრის ეკლესიაში მან ქართველი მრევლისათვის გალატელთა მიმართ ეპისტოლედან აღებული სიტყვით იმსახურა: „მაგრამ, როცა დავინახე, რომ ისინი სწორად არ მიჰყვებიან სახარების ჭეშმარიტებას, ყველას თანდასწრებით ვუთხარი კეფას: თუ შენ იუდეველი წარმართივით ცხოვრობ და არა იუდეველივით, აბა, წარმართებს რაღად აიძულებ-მეთქი, რომ გაიუდეველდნენ?“ (2, 14).

პირველ აგვისტოს მან ძმების საათი ჩაატარა: იგი შეეხო სასულიერო მზრუნველობის საკითხებს და აღნიშნა, რომ, როცა მღველმსახურებს შორის ერთსულოვნება არსებობს, სიხარულიც სრულია და თემისათვის გადამდები. ისაუბრა 2019 წლის ოქტომბერში სამხ. მოციქულ რ. შტორკის ვიზიტზე საქართველოში, ასევე მოსალოდნელ ორდინაციაზე, დავალებისა მიცემასა და დანიშვნაზე.

პარასკევს, 2 აგვისტოს მოციქული მღვდელ ბესო დევდარიანს ეწვია ოჯახში, მისი მეუღლე მაია ავლაბრის ეკლესიაში გუნდს ხელმძღვანელობს. მოციქულმა პენსიაში მყოფი მახარებელი გოჩა ამოკოლაძეც მოინახულა საავადმყოფოში, რომელმაც გულის ოპერაცია გაიკეთა.

3 აგვისტოს, შაბათს, თბილისში სომეხი და აზერბაიჯანელი მღვდელმსახურები ჩამოვიდნენ სემინარზე დასასწრებად. სემინარზე განხილულ იქნა სასულიერო თანამდებობის ახლებური გაგება, ასევე ლიტურგიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. ეს შეკრება ერთობლივი ვახშმით დასრულდა.

4 აგვისტოს ჩატარებულ ღვთისმსახურებას ავლაბრის ეკლესიაში სომეხი და აზერბაიჯანელი ძმებიც დაესწრნენ. ამ ღვთისმსახურებაზე ერთმორწმუნე ძმა ტარიელ კასრაძე დიაკვნად იქნა კურთხეული, ასევე სულიწმიდით აღიბეჭდა ერთი სტუმარი, იულია ობოლაძე.

მოციქული ვ. შუგი მეორე დილით სამშობლოში გაემგზავრა.

მოციქულმა ვ. შუგმა მოუწოდა და-ძმებს, წინასწარ იზრუნონ იმაზე, რომ ამ ღირსშესანიშნავი დღისათვის თავისუფლები იყვნენ.

ასევე საუბარი შედგა სხვადასხვა ორგანიზაციულ საკითხებზე, რაც სამხ. უხუცეს პეტრე უგრიმოვის დამსახურებულ პენსიაში გაშვებას და ამის შემდგომ პერიოდს უკავშირდება.

სტუმრებმა საქართველო 7 ნოემბერს დატოვეს.

ახმეტა-უტო

ფოტო: საქართველოს ახ. ს. ე.

ფოტო: ოლივერ რიუტენი

ფოტო: ცგ შპინდლერი

ფოტო: ანდრეას ოტო

მე აქ ვარ - მე ღმერთს ვუყვარვარ

საერთაშორისო ახალგაზრდული დღის დასასრული და კულმინაცია: 30 000 ახალგაზრდა მორწმუნე კვირა დილით ღვთისმსახურებაზე დასასწრებად არენაზე შეიკრიბა. ქადაგებაში პირველმოციქულმა შნაიდერმა ყველგან მყოფი ღმერთის სიყვარული შეახსენა მსმენელებს. ეს სიყვარული ახალგაზრდა ქრისტიანებმა საზოგადოებისათვის საგრძნობი და აღსაქმელი უნდა გახადონ.

2019 წლის 2 ივნისის ღვთისმსახურება პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა ახალგაზრდული დღის განვლილი ბოლო სამი დღის გახსენებით დაიწყო და ახლაგაზრდებს დამსწრე მოციქულთა სახელით ყოველივე ამის მომზადებისათვის მადლობა გადაუხადა და მიულოცა: „თქვენ ბევრი იშრომეთ - ღმერთმა კი თქვენი შრომა წარმატებებით აკურთხა.“

გავავრცელოთ ღვთიური სიახლოვისა და სიყვარულის სახარება

„მე აქ ვარ“, ამბობს ღმერთი, „მე აქ შენთვის ვარ“, თქვა პირველმოციქულმა შნაიდერმა და გააგრძელა: „ღმერთი ამბობს: ‘უთხარი შენს მოყვასს, რომ მე მისთვისაც ვარ აქ“. პირველმოციქულმა გამოთქვა სურვილი, რომ ახალგაზრდების პასუხი ასეთი ყოფილიყო: „მე აქ ვარ, მე ამას გავაკეთებ.“ ღვთიური სიახლოვისა და სიყვარულის სახარების გავრცელება დავალებას წარმოადგენს.

მოწმობა ქრისტეზე: გვიყვარდეს და მივიღოთ

კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება დღევანდელ ცხოვრებისეულ გარემოებებში ამის განხორციელება, ქრისტე ბიბლიური ციტატით გასცემდა კონკრეტულ პასუხს: „ღვთის მოწაფეები რომ ხართ, ამით გაიგებენ ადამიანები, თუ ერთმანეთის სიყვარული გექნებათ.“ აქ იესო ადამიანურ სიყვარულს კი არ გულისხმობდა, როცა უყვართ და საპასუხო სიყვარულს ელოდებიან, არამედ ღვთიურ სიყვარულს.

ღვთიური სიყვარული ჩვენში სულიწმიდის მადლით ცოცხლობს. სწორედ ეს არის ის, რაც ახალგაზრდა მორწმუნეებმა მოყვასს უნდა აგრძნობინონ. „დაანახეთ მოყვასს, თუ როგორ უყვარს ის ღმერთს - გაეცით თქვენი სიყვარული“, მოუწოდა პირველმოციქულმა ახალგაზრდებს.

ვიყოთ ერთმანეთის მოზიარენი და დავეხმაროთ ერთურთს

„ჩვენ მდიდრები ვართ ქრისტეში და ამ სიმდიდრის გაზიარება გვინდა.“ მზარდი ეგოცენტრიზმის ეპოქაში აქმოყვასის ჭირისა და ლხინის გულწრფელი გაზიარება იგულისხმება. „ჩვენ ვლოცულობთ ერთმანეთისთვის და ვუზიარებთ ერთმანეთს ჩვენს სიმდიდრეს.“ თავისი სიყვარულის გამოსახატავად ქრისტე კონკრეტულად ეხმარებოდა ადამიანებს. პირველმოციქულმა მოუწოდა ახალგაზრდებს, რომ მარტო კი არ ილოცონ, არამედ იმოქმდონ კიდეც, რათა გაჭირვება შუმსუბუქონ თანამომმეებს - ახალგაზრდების წრეში, თემსა და ეკლესიაში.

ვიშრომოთ ერთად

ქრისტე მუდმივად მოწაფეებთან თანაზიარებას ეძებდა. ეს დღესაც მნიშვნელოვანია: „მოდით, ერთად ვიყოთ და ერთად ვითანამშრომლოთ - ეს გავაკეთოთ რეალურ ცხოვრებაში და არა მხოლოდ ინტერნეტით ან სმარტფონით. „ილოცეთ ერთად, დაესწარით ღვთისმსახურებას და იზეიმეთ წმიდა ზიარება“, ასეთი იყო პირველმოციქულის მოწოდება. ხანდახან ამისათვის მსხვერპლის გაღებაა საჭირო: „მაინც ჩვენთან ერთად გააკეთე საქმე, თუნდაც სახალისო არ იყოს იგი შენთვის“, გაამხნევა ახალგაზრდები მან. ერთობლივ აქტიობებს სიხარული მოაქვს.

ქრისტე მოწაფეებს ყოველთვის მიუტევებდა და შემრიგებელი იყო. ახალგაზრდების წრეშიც არსებობს კონფლიქტები. ამ შემთხვევაში მოყვასის მისატევებლად ღვთიური სიყვარული უნდა გამოვიყენოთ როგორც ძალის წყარო.

ძირითადი აზრები მომავალი თაობისათვის

ბევრი დასახელებული ასპექტი ახალგაზრდებმა ამ დღეებში უკვე განახორციელეს, სიხარულით აღნიშნა პირველმოციქულმა. მაგრამ მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს ძირითადი აზრები და პუნქტები ახალ და მომავალ თაობას გადასცენ ეკლესიაში: „ღმერთს უყვარხარ და შენგან იმას მოელის, რომ მოყვასსაც ეტყვი ამას. სახარების ქადაგება იწყება ერთმანეთის სიყვარულით, ერთმანეთის მიღებით, ურთიერთგაზიარებით, ერთმანეთთან ყოფნისა და ერთად შრომის სურვილით, ურთიერთმიტევების სურვილით და ურთიერთშერიგებით.“

ახალსამოციქულო ახალგაზრდები ამ გზაზე მარტონი არ არიან. სხვა ეკლესიების ქრისტიანებიც მოძღვარ იესო ქრისტეს სამსახურში დგანან. „ეს მსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ვაჩვენოთ ადამიანებს, რომ ღმერთს ყველა უყვარს.“ ამიტომაც ახალსამოციქულო ეკლესიას კარგი ურთიერთობები აქვს სხვა ეკლესიებთან.

მაგრამ თუ სახარების უწყებისას სირთულეები გაჩნდება, „ღვთის სიყვარულით დავძლევთ იმედგაცრუებებსა და წინააღმდეგობებს და ჩვენს საქმეს გავაგრძელებთ. (...) გვიყვარდეს ერთმანეთი ისე, როგორც იესოს ვუყვარვართ - ეს თემს, ეკლესიას, ქრისტიანობას განსაკუთრებულად გაასხივოსნებს.“



ფოტო: ცც შპინდლერი

ძირითადი აზრები

იოან. 13, 34. 35

„ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ; გიყვარდეთ ერთმანეთი. როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი. ჩემი მოწაფეები რომ ხართ, ამით გაიგებენ ყველანი, თუ ერთმანეთის სიყვარული გექნებათ.“

იესო გვთხოვს, ისე გვიყვარდეს ერთმანეთი, როგორც მას ვუყვარვართ. ამას მაშინ შევძლებთ, თუ ერთმანეთს პატივს ვცემთ, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს გავიზიარებთ, დავეხმარებით ერთმანეთს, ღმერთის სადიდებლად და სამსახურად შევიკრიბებით და მივუტევებთ ერთურთს.

ორმოცდაათობის სასწაული

მოციქულთა ისტორიის მიხედვით: 2, 1-47

აღდგომიდან ორმოცდაათი დღის შემდეგ, სულთმოფენობაზე, მოციქულები იმ ქალებთან და კაცებთან ერთად, რომლებიც იესოს მიმდევრები იყვნენ, იერუსალიმში ერთ სახლში შეიკრიბნენ. ისინი სულიწმიდის ძალის მათზე გარდამოსვლას ელოდებოდნენ, როგორც იესომ აღუთქვა მათ ეს.

უეცრად წამოვიდა „ხმაური ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაბერაო, და აავსო მთელი სახლი.“ ცეცხლის მსგავსი ენები თვითეულ მათგანს მოეფინა და მოწაფეები სულიწმიდით აღივსნენ. სულიწმიდამ ისინი სხვადასხვა ენებზე აამეტყველა და ღვთის დიად საქმეებზე აალაპარაკა.
იმ დროს ქალაქში პილიგრიმები იმყოფებოდნენ მესოპოტამიიდან, აზიიდან, ლიბიიდან და რომიდან. ისინი იერუსალიმის ტაძრისათვის მსხვერპლის შესაწირად იყვნენ ჩამოსულნი.
ბევრი პილიგრიმი იმ სახლთან მიდიოდა, სადაც სულიწმიდით აღვსილი მოწაფეები ელაპარაკობდნენ მათ. გაოცებულებმა დაასკვნეს, რომ მათი სიტყვები ყველას თავის ენაზე ესმოდა.

მსმენელები კითხულობდნენ: „რანაირად არის ეს შესაძლებელი? ეს კაცები ხომ გალილეადან არიან. როგორ ალაპარაკდნენ ასე უეცრად სხვადასხვა ენებზე?“
ზოგს ეგონა, რომ მოწაფეები მთვრალები იყვნენ. ამ დროს პეტრემ აიღო სიტყვა: „აქ არავინ არის მთვრალი. დღეს დიდი სასწაული ხდება. ღმერთმა სულიწმიდა მოფინა, როგორც ეს წინასწარმეტყველებს აქვთ აღთქმული.“ ამის შემდეგ იესოზე ილაპარაკა, თუ როგორ აცვეს ის ჯვარს და როგორ აღდგა იგი.
პეტრეს ქადაგება გულზე მოხვდათ ადამიანებს. ისინი მოციქულებს



ეკითხებოდნენ: „როგორ მოვიქცეთ?“
პეტრემ მიუგო: „მოინანიეთ და მოინათლეთ, რათა ცოდვები მოგეტევოთ და სულიწმიდა მიიღოთ.“
ბევრმა ირწმუნა პეტრესი და მოინათლა. ამდენად 3000 კაცი შეემატა ქრისტეს თემს.
ისინი ერთად იყვნენ, ისმენდნენ მოციქულთა სიტყვებს, ლოცულობდნენ და ერთმანეთს შორის პურს ტეხდნენ. ყველაფერს, რაც ებადათ, ერთმანეთს უზიარებდნენ.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 06/2019 წ.; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად რუბენთან მარანგუაპაში (ბრაზილია)



გამარჯობათ, მე ვარ რუბენი - კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩემს სამშობლოში, ბრაზილიაში!

ბრაზილია ყველაზე დიდი ქვეყანაა სამხრეთ ამერიკაში, მსოფლიოში კი სიდიდით მეხუთეა. მე ბრაზილიის ჩრდილოეთში, ფორტალეზას მახლობლად ვცხოვრობ, ის სეარას შტატის დედაქალაქია. მთელი წლის განმავლობაში აქ ძალიან ცხელა.

ჩვენი სანაპიროები ძალიან ლამაზია. ფორტალეზაში ბევრი ტურისტი ჩამოდის, რათა ზღვითა და სანაპიროებით დატკბეს.

სანაპიროებზე და ზღვაზე ბევრ ბარჟებს დაინახავთ. ეს არის ნავები, რომლითაც მეთევზეები დიდი თევზების დასაჭერად გადიან ზღვაში.

ქალაქს, რომელშიც ვცხოვრობ, მარანგუაპა ჰქვია. ის მთებითა და ზღვით არის გარშემორტყმული; გარშემო სულ სიმწვანეა და ძალიან ლამაზია. მიყვარს, როცა მამასთან და დებთან ერთად ბუნებაში სალაშქროდ მივდივარ. ორი თვის წინ ექვსი წლის გავხდი. როცა გავიზრდები, მინდა, რომ ყველა სალაშქრო ბილიკი მოვიარო და ისეთი ცხოველები აღმოვაჩინო, რომლებიც მხოლოდ აქ ბინადრობენ. .

ორი და მყავს, რუთი და რაკელი, ისინი ტყუპები არიან. მე ისინი ძალიან მიყვარს და მათაც ვუყვარვარ. აქ მარანგუაპას ეკლესიის წინ

ვდგავართ. ჩემი დები სამხარეო გუნდში მღერიან. შემდგომში მეც მინდა მათთან ერთად გუნდში ვიმღერო. საგალობლები, რომლებსაც იქ ასრულებენ, ძალიან მომწონს. მართალია, ქადაგებიდან ყველაფერს ვერ ვიგებ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ყოველი ღვთისმსახურება რაღაც განსაკუთრებულია. მამა მეუბნება, რომ ღვთისმსახურებაზე ჩვენს ზეციერ მამას ვხვდებით.

აი, ასე გამოიყურება ეკლესია შიგნიდან. მამაჩემი სამხ. მახარებელია. კვირის განმავლობაში ხშირად გამომივლის ხოლმე სკოლაში და სხვა თემებში მივყავარ. განსაკუთრებით მუკუნენში მომწონს. იქ ლამაზი ბაღი აქვთ, რომელსაც თემის წევრები უვლიან.

ეს ჩვენი ოჯახია, ჩემს დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე. როცა ოთხი წლის ვიყავი, დედაჩემი ავად გახდა და ზეცაში წავიდა. მე ის ძალიან მაკლია. მამა მეუბნება, რომ მას ძალიან ვუყვარდი. დედაჩემს ორი ქალიშვილის შემდეგ ვაჟიც უნდოდა და მეც დავიბადე. ღმერთმა მას სურვილი შეუსრულა.

დღის განმავლობაში სკოლაში ვარ. დილით იქ იმ გაკვეთილებს ვამზადებ, რომლებიც წინა დღეს მოგვცეს. ჩემს იქაურ მეგობრებს ჰქვიათ ეიტორი, ვინისიოზი, ემანუელა და სოფია. იცოდით, რომ ჩვენთან ნიშნები 0-დან 10-მდეა? 10-იანი საუკეთესო ნიშანია. სასწავლო წელი თებერვალში იწყება და დეკემბრის დასაწყისში მთავრდება. ივლისში ორი კვირა არდადეგები გვაქვს.

ამ დროს ექშენ-ფიგურებით ვთამაშობ. ჩემი ყველაზე საყვარელი ფიგურა მაქს სტილია.

მოტოციკლზეც ხომ ისე გამოვიყურები როგორც ექშენის გმირი, ასე არ არის?

■ წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 07/2019 წ.; ფოტოები: პირადი, © marchello74 - stock.adobe.com

ქრისტეს მეორედ მოსვლა

მოციქულობის ამოცანა, როგორც პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა თემებისადმი მიწერილ წერილში აღნიშნა, ქრისტიანების იესოს მეორედ მოსვლისათვის მომზადება და 21-ე საუკუნის გამოწვევებთან მიმართებაში მათი გაძლიერებაა.

ფოტო: © iCreations.de – stock.adobe.com

ქრისტიანებს სწამთ, რომ სულიწმიდა ეკლესიაში სუფევს და მოქმედებს (ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო კითხვებსა და პასუხებში, კითხვა 712). სულიწმიდის მოქმედებას ეკლესიაში შევიმეცნებთ

- იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის აღთქმის ფხიზლად შენახვაში (კატ-კპ 203);
- იმით, რომ სულიწმიდით აღვსილი მოციქულები მორწმუნეთა იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მომზადებაზე მუშაობენ (კატ-კპ 433);
- რომ სულით ამოქმედებული ქადაგების მიზანი თემის იესო ქრისტეს მოსვლაზე ორიენტირებაა (კატ-კპ 626).

კატეხიზმოში ნათქვამია: „მოციქულობის არსში ქრისტეს მეორედ მოსვლის უწყება და თემების ამ მოვლენისათვის მომზადებაა ჩადებული“ (კატ-კპ 442). მიზანშეწონილად მეჩვენება, ვკითხოთ საკუთარ თავს, თუ რომელია უფლის მეორედ მოსვლისა და ამ აღთქმის ფხიზლად შენახვის საუკეთესო გზა დღევანდელ დღეს?

დაბრკოლების მიზეზები უფლის მეორედ მოსვლის უწყებისას

პირველი ქრისტიანები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლის წინაშე იდგნენ. მაგრამ ამ აღთქმის შეუსრულებლობამ და მოციქულთა მოღვაწეობის შეწყვეტამ ქრისტიანების მიერ უფლის მეორედ მოსვლის სულ უფრო შორეული მომავალისათვის გადადება განაპირობა.

უფლის მოახლოებული მეორედ მოსვლის ავტორიტეტულად უწყება განახლდა მას შემდეგ, რაც მოციქულის სასულიერო თანამდებობა კვლავ პერსონალურად იქნა დაკავებული. თუმცა ვხედავთ, რომ იესოს მეორედ მოსვლის აღთქმა დამსახურებულ აღფრთოვანებას არ იწვევს. ამის მიზეზები მრავალგვარია. ქვემოთ რამოდენიმე მათგანია ჩამოთვლილი:

- უფლის მოახლოებულ მეორედ მოსვლას მოციქულები 19-ე საუკუნის ოცდაათიანი

წლებიდან იუწყებიან და ეს ჯერ კიდევ არ მომხდარა. ბოლო ჟამისათვის მოსალოდნელმა ნიშნებმა სხვადასხვა განმარტებებს დაუთმო ასპარეზი, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მცდარი ან სულაც ყალბი იყო;

- იმ ფაქტის გამო, რომ ბევრ ადგილას საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდა, იქ მცხოვრები მორწმუნეები აღარ განიცდიდნენ იმის მოთხოვნილებას, რომ „გაქცეოდნენ“ ამ ქვეყანას და „გადარჩენილიყვნენ“ მისგან. საარსებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ბევრი, მათ შორის სოციალურად დაუცველიც, უფრო ეკონომიკური და სოციალური პროგრესის იმედად იყო, ვიდრე ღმერთის;
- იმ მოვლენების ზებუნებრივი ხასიათი, რომლებსაც ჩვენ ვიუწყებით (ქრისტეს მეორედ მოსვლა, მკვდართა აღდგომა, ცოცხალთა ზეატაცება, ათასწლიანი მშვიდობის სამეფო), თანამედროვეთა ერთი ნაწილისათვის ჩვენს ქადაგებას ძნელად გასაგებს ხდის. თავად ჩვენს რიგებშიც კი ზოგიერთი პედაგოგი გვირჩევს, რომ არ დაველაპარაკოთ ბავშვებს ამ თემაზე, რათა მათი ტრავმირება ავიცილოთ თავიდან;
- ზოგიერთებისათვის მიუღებელია ის აზრი, რომ მეორედ მოსვლის დროს იესო სამსჯავროს მოაწყობს. ღვთის მიერ განსჯის პერსპექტივა შიშისმომგვრელია მათთვის და არ შეესატყვისება იმ წარმოდგენას, რომელიც მათ იესოზე აქვთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბევრი მორწმუნე ისეთ ოჯახში ცხოვრობს, რომელიც ახალსამოციქულო და არაახალსამოციქულო ქრისტიანებისგან შედგება, ანდა ეკლესიის აქტიური და არააქტიური წევრებისგან. იმის პერსპექტივამ, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლისას მათ ერთმანეთს დააშორებენ, ასეთ და-ძმებში უსიამოვნო გრძნობა და ტანჯვა შეიძლება გამოიწვიოს;
- ჩვენი მოძღვრება მომავლის მოვლენებთან დაკავშირებით ზოგიერთი კუთხით არ შეესატყვისება ბევრი სხვა კონფესიის მოძღვრებას. როცა უფლის მეორედ მოსვლაზე ვლაპარაკობთ, გვსაყვედურობენ, რომ სხვა ქრისტიანებთან მიმართებაში უფრო განსხვავებებს ვუსვამთ ხაზს, ვიდრე მსგავსებას. და როცა ვასწავლით, რომ მორწმუნე ცოცხალი მოციქულის მიერ უნდა იქნას სულიწმიდით აღბეჭდილი, რამეთუ ქრისტეს სასძლოს კუთვნილება გახდეს, ექსკლუზიურობასა და სექტანტობას გვაბრალებენ.

როგორ ვსაუბრობთ უფლის მეორედ მოსვლაზე?

ამ გარემოებამ ხელი არ უნდა აგვაღებინოს იმ ამოცანის შესრულებაზე, რომ ვიუწყოთ უფლის მოახლოებული მეორედ მოსვლა. თუმცა იმისათვის, რომ გაგვიგონ, პავლე მოციქულივით უნდა მოვიქცეთ და ჩვენს მსმენელებზე ვიყოთ ორიენტირებულნი (1. კორ. 9, 20-23). ჩვენი დღევანდელი ქადაგება უფლის მეორედ მოსვლის შესახებ შემდეგ ასპექტებს უნდა შეიცავდეს: იესო ქრისტეს მეორედ მოსვლაში წვდომა, ზუსტად ისევე როგორც მის აღდგომასა და ამაღლებაში, მხოლოდ რწმენით არის შესაძლებელი.

უფალმა ახსნა, რომ მისი მეორედ მოსვლის წამის განსაზღვრა შეუძლებელია (მათ. 24, 44; ლუკ. 17, 20). მკაფიოდ და გასაგებად უთხრა მან მოციქულებს: „თქვენი საქმე არ არის დროთა და ვადათა ცოდნა, თავისი ხელმწიფებით რომ დაადგინა მამამ“ (საქმე 1, 7). მარკოზის სახარების 13-ე თავში გვხვდება იესოს მითითებები იმ მოვლენებზე, რომლებიც მისი მოსვლის წინმსწრები იქნება. იქნება ომები, მიწისძვრები, შიმშილი, დევნა, ასევე იქნებიან ცრუწინასწარმეტყველნი, რომლებიც ნიშნებსა და სასწაულებს მოახდენენ. ეს ყველაფერი გასული საუკუნეების განმავლობაშიც ხდებოდა. ის ფაქტი, რომ ამგვარი რამ დღესაც ვლინდება, არ შეიძლება იმის დადასტურებად ჩაითვალოს, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლა ახლოა. ყოველ შემთხვევაში, აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი ვერანაირად ვერ დააბრკოლებენ ხსნის გეგმას. მაშ, მოვერიდოთ „დროის ნიშნებზე“ ლაპარაკს იმ მიზნით, რომ მორწმუნეები იესოს მოახლოებულ მეორედ მოსვლაში დავარწმუნოთ. ჩვენ გვწამს უფლის მეორედ მოსვლისა, რამეთუ იესომ აღგვითქვა ეს და სულიწმიდა იუწყება მასზე. ჩვენ გვწამს, რომ იესო მალე მოვა, ვინაიდან მოციქულობა კვლავაც მოქმედებს დედამიწაზე, რათა უფლის მოსვლა მოამზადოს.

ხსნა, რომელსაც ღმერთი გვთავაზობს, გაცილებით მეტია, ვიდრე მატერიალური არსებობის გაუმჯობესება. მას სურს, რომ თავის სასუფეველში შეგვიყვანოს, სადაც არ არის ბოროტი და არც მისი გამოვლინების რომელიმე ფორმა (ტანჯვა, უსამართლობა, სიცრუე, თვალთმაქცობა, სიძულვილი და სიკვდილი). ღმერთს უნდა, რომ საუკუნესიცოცხლემოგვანიჭოს, რაცმასთანსაუკუნო თანაზიარებას ნიშნავს. ზეციურ სამშობლოში (ებრ. 11, 14-16) ადამიანები ღმერთთან და ერთმანეთთან ჰარმონიაში იცხოვრებენ. ისინი იმ პიროვნებათა ერთობას შექმნიან, რომლებიც, მართალია, განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ მაინც ერთნი არიან - ეს ღვთიური სამერთობის სახეა. ჩვენი მოტივაცია ამ ქვეყნიდან გაქცევა ან მოსალოდნელი კატასტროფისგან თავის დაღწევა არ არის. ღვთის სასუფეველში შესვლა ჩვენთვის გაქცევა კი არ არის, არამედ სრულყოფა. ვიმედოვნებთ, რომ ისეთები ვიქნებით, როგორადაც ღმერთმა შეგვქმნა.

ჩვენ არ უარვყოფთ იმას, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც ამის კეთილი ნება აქვთ და თავიანთ ძალისხმევას აერთიანებენ, გარკვეული დროით და კაცობრიობის ერთი ნაწილისათვის მშვიდობის, სამართლიანობისა და კეთილდღეობის მოტანა შეუძლიათ. მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამას ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებენ მთელი კაცობრიობისათვის და თანაც სამუდამოდ. მხოლოდ და მხოლოდ ყოვლისშემძლე ღმერთს ძალუძს ყველა დროის ყველა ადამიანის დახმარება იმგვარად, რომ თავად ჩაერიოს ისტორიაში. ძე-ღმერთის განკაცება სწორედ ღმერთის ამგვარი ჩარევა იყო კაცობრიობის ისტორიაში. მისი შემდგომი პირდაპირი ჩარევა იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა იქნება, მერე კი პირმშოებთან ერთად ძალითა და დიდებით მოსვლა, ხოლო მოგვიანებით უკანასკნელი სამსჯავრო. ყველა ეს ღვთიური ჩარევა, საბოლოო ჯამში, ადამიანის გონების ფარგლებს სცილდება და მხოლოდ რწმენით არის მათი წვდომა შესაძლებელი. ჩვენ მათ შიშისმომგვრელ საფრთხედ კი არ აღვიქვამთ, არამედ ადამიანებისადმი ღვთიური სიყვარულის გამოხატულებად.

მეორედ მოსვლის დროს, რაც უხილავი იქნება, უფალი მხოლოდ რჩეულებს წაიყვანს თავისთან, რომლებმაც სათანადო სიმწიფეს მიაღწიეს. ამგვარი სამსჯავროს პერსპექტივა იმ აუცილებლობას გვაცნობიერებინებს, რომ სერიოზულად მოვემზადოთ მისთვის. მაგრამ არც ამან უნდა შეგვაშინოს. მთელ ჩვენს იმედს იმ წყალობაზე ვამყარებთ, რომელსაც უფალი იმ მორწმუნეებს მიანიჭებს, რომლებიც ჭეშმარიტად არიან შთაგონებულნი მასთან თანაზიარების სურვილით (1. პეტ. 1, 13). იესო კვლავ მოვა, რათა თან წაიყვანოს სასძლო თემი და მასთან ერთად საქორწინო ნადიმი გამართოს ზეცაში. სასძლოს სახე სასიყვარულო ურთიერთობაზე მიუთითებს, ქორწილი კი სიხარულისა და გაზიარების მთავარ აზრზე. მაგრამ თავისთავად სასძლოს ატაცება დასასრულს არ წარმოადგენს. მას ისე უნდა შევხედოთ, როგორც ხსნის გეგმის ერთ მონაკვეთს. ისინი, ვინც სასძლო თემს ეკუთვნიან, განსაკუთრებული ამოცანის შესრულებისკენ არიან მოწოდებულნი: კერძოდ, უქადაგონ სახარება ყველა დროის ყველა ადამიანს ათასწლიანი მშვიდობის სამეფოში. საბოლოო ჯამში, ღვთიური საქმეების მიზანი ყველა ადამიანისათვის საუკუნო სიცოცხლის, ღმერთთან და ერთმანეთთან სრული თანაზიარების მიღწევის შესაძლებლობის მიცემაა.

როგორ ვინახავთ ქრისტეს მეორედ მოსვლის აღთქმას ცოცხლად?

მოციქულებმა მიიღეს დავალება, აღბეჭდონ მორწმუნე სულიწმიდით, რის შედეგადაც იგი ღმერთის მემკვიდრე ხდება, და ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მოამზადონ იგი. ეს მომზადება მორწმუნის მხრიდან აქტიურ თანამშრომლობას მოითხოვს: ყველამ უნდა იშრომოს საკუთარი ხსნისათვის (ფილიპ. 2, 12). ამიტომაც არის ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანი მორწმუნეთა მოტივირება იმ მიზნით, რომ ფხიზლად შეინახონ უფლის მეორედ მოსვლის აღთქმა.

იმისათვის, რომ ისინი უფლის მეორედ მოსვლისასთან მიმართებაში აქტიურად მომზადებისათვის წავახალისოთ, ორი შესაძლებლობა გვაქვს:

- გავამრავლოთ მათი სიყვარული;
- ვაქციოთ ეკლესია მომავალი სასუფევლის წინასწარ განცდის ადგილად.

გავამრავლოთ მორწმუნეთა სიყვარული

სულიწმიდით აღბეჭდვის შედეგად ღმერთი ადამიანს თავისი არსის ნაწილს ანიჭებს მაშინ, როცა ღვთიური სიყვარულის მადლს მოჰფენს მას (რომ. 5, 5). ეს სიყვარული მორწმუნეში საპასუხო სიყვარულის გამოვლინების სურვილს აღვიძებს (1. იოან. 4, 19). ამგვარი სიყვარული მორწმუნის გულში იმით შეგვიძლია გავამრავლოთ, რომ

- მივუთითოთ მას იესოს მსხვერპლის სიდიადეზე;
- მივცეთ შესაძლებლობა, გახდეს მონაწილე ქრისტეს დამსახურების სისრულისა;
- ვაუწყოთ იმ მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც ღმერთს აქვს მისთვის გამზადებული;
- განვაცდევინოთ ქრისტეს სიყვარული ჩვენი მზრუნველობისა და გაგების მეშვეობით.

ღვთის შვილი, რომელმაც ჭეშმარიტად შეიცნო ქრისტეს სიყვარული, ამ სიყვარულშია „ფესვგადგმული“ და აღვსილია „სრული ღვთიური სისავსით“ (ეფეს. 3, 17-19). მისი სანუკვარი სურვილი იესოსთან ყოფნაა. მისი ასეთი სურვილი ამ ყოველდღიურ ლოცვაში გამოიხატება: „მოდი, უფალო იესო“ (გამოცხ. 22, 20). ეს სურვილი იმის მუდმივ მცდელობაშიც ვლინდება, რომ დღესვე ჰქონდეს მას სასიცოცხლო თანაზიარება ღმერთთან.

მოციქულთა მოძღვრებისა და წმიდა ზიარების ღირსეულად მიღების წყალობით მორწმუნენი ქრისტეში იზრდებიან. ქრისტეს სიყვარული მათ ეგოიზმისა და ინდიფერენტულობის დაძლევისა და სხვებისათვის გულის გახსნის უნარს აძლევს:

- ისინი ინტერესდებიან მოყვასის მდგომარეობით და ზრუნავენ მასზე;
- ცდილობენ, ისე იმოწმონ სიტყვითა და საქმით, რომ სხვებმაც შეძლონ ქრისტეს აღმოჩენა;

- იმისკენ ისწრაფვიან, რომ, საბოლოო ჯამში, სახარების ქადაგება ყველა ადამიანისათვის დაუბრკოლებლად მოხდეს - ამიტომაც ევედრებიან ღმერთს, რომ კვლავაც გააგრძელოს ხსნის გეგმის განხორციელება მისი ძის მოვლინებისა და მშვიდობის სამეფოს აღმართვის მეშვეობით;
- აქტიურად ემზადებიან იმისათვის, რომ გახდნენ ღვთისა და ქრისტეს მღვდლები მშვიდობის სამეფოში, რამეთუ ყველა ადამიანს აუწყონ ხსნა.

ეკლესია, მომავალი სასუფევლის წინასწარი განცდა

როცა ფარისევლებმა იესოს ჰკითხეს, თუ როდის მოვა ღვთის სასუფეველიო, მან უპასუხა, ის თქვენშიაო (ლუკ. 17. 20. 21). სინამდვილეში სასუფეველი მის პიროვნებაში იყო; იმათ, ვისაც მისი სწამდა, ღვთის სასუფევლის განცდა დედამიწაზე მისი მეშვეობით შეეძლოთ.

ჩვენს დღეებში იესო სულიწმიდის მეშვეობით სუფევს მის ეკლესიაში. იქ იგი სიტყვისა და საიდუმლოების მეშვეობით მოქმედებს და მოციქულთა მეშვეობით ხელმძღვანელობს მას. იქ, სადაც სულიწმიდა იესო ქრისტეს მიერ უფლებამოსილი სასულიერო თანამდებობის საშუალებით მოქმედებს, წმიდა ზიარების დროს მორწმუნენი იესო ქრისტესთან და ერთმანეთთან შინაგან თანაზიარებას განიცდიან. ამდენად, მათ აქ, დედამიწაზე, იმ ხსნის წინასწარ განცდა შეუძლიათ, რომელსაც მომავალი ღვთის სასუფევლი მოიტანს.

მორწმუნე, რომელიც მხოლოდ უფლის მეორედ მოსვლის მოლოდინით კმაყოფილდება, ე. ი, ლოცულობს და ღვთისმსახურებებს ესწრება, ბოლოს და ბოლოს ლოდინით დაიღლება. მაგრამ, თუ მას, პირიქით, მომავალი სასუფევლის გამო სიხარულით ტკბობა წინასწარ შეუძლია, იქ მოხვედრის უფრო მეტი სურვილი და მოტივაცია ექნება. სულიწმიდიდან წამოსული ძალით იმაზე ვმუშაობთ, რომ ეკლესია მომავალი ღვთის სასუფევლის წინასწარტკბობად ვაქციოთ! ჩვენი მიზანია, ყველას გავაგებინოთ, რომ იესო მართავს მის ეკლესიას. იესო ქრისტეს სუფევა შემდეგი ნიშნებით შეიცნობა:

ფოტო: © sewcream - stock.adobe.com

- ყრუები, მუნჯები და ბრმები განიკურნებიან - იესოს შემწეობით დავძლევთ ყველაფერს, რაც ადამიანებთან კომუნიკაციასა და ურთიერთობაში გვიშლის ხელს;
- ბრალმდებლები დადუმდებიან (იერ. 8, 9), აღარ ილაპარაკებენ იმ შეცდომებზე, რომლებიც იესომ უკვე მიუტევა;
- დასრულდება დისკუსიები იმის შესახებ, თუ ვინ არის ყველაზე დიდი; ადამიანები მზად იქნებიან ერთიმეორის სამსახურად (მარკ. 9, 34. 35);
- განსხვავებები ადამიანთა შორის ქრისტეში ერთობის სასარგებლოდ გაქრება (გალ. 3, 28);
- მატერიალური ვეღარ შეავიწროვებს სულიერს (მარკ. 8, 14-18).

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, CH-8051 ციურიხი/ შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი/გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

პროგრამა

06.10.2019 წ.	პეტერბურგი (რუსეთი)
13.10.2019 წ.	მონროვია (ლიბერია)
20.10.2019 წ.	მიულჰაუზენი (საფრანგეთი)
27.10.2019 წ.	კუალა-ლუმპური (მალაიზია)
30.10.2019 წ.	კალაი (მიანმარი)
03.11.2019 წ.	იანგონი (მიანმარი)
10.11.2019 წ.	ნორდერშტედტი (გერმანია)
17.11.2019 წ.	სტ. გალენი (შვეიცარია)
01.12.2019 წ.	მალაგა (ესპანეთი)
08.12.2019 წ.	ლუდვიგსბურგი (გერმანია)
13.12.2019 წ.	ვალფიშბუხტი (ნამიბია)
15.12.2019 წ.	ისტ-ლონდონი (სამხრ. აფრიკა)
22.12.2019 წ.	ჰერსფელდ-ლაუტერბახი (გერმანია)
29.12.2019 წ.	შტადე (გერმანია)

New Apostolic Church
International